ცვლილება/დამატება ოვერდრაფტის შესახებ ხელშეკრულებაში (შემდგომ "ხელშეკრულება").

ხელშეკრულების დაემატოს $10^1$ მუხლი, ასევე მის თავსართს დაემატოს შინაარსი და ცვლილებები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ხელშეკრულების თავსართს დაემატოს შინაარსი:

- მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. ხელშეკრულებაზე უარის გაცხადების პირობები და პრაქტიკული ინსტრუქციები მოცემულია ხელშეკრულების მე-**$10^1$** მუხლში.

ხელშეკრულებას დაემატოს $10^1$ მუხლი:

**მუხლი $10^1$ . მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის გაცხადების პირობა და პრაქტიკული ინსტრუქციები.**

1. მომხმარებელი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე ამ ხელშეკრულების დადებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე.
2. ხელშეკრულებაზე უარის გაცხადების შესახებ მომხმარებლის მხრიდან შეტყობინება ბანკს უნდა გაეგზავნოს/მიწოდოს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, მხოლოდ წერილობითი ფორმით, ინტერნეტ ბანკის ან ბანკის კანცელარიის მეშვეობით. შეტყობინება ბანკის მხრიდან ჩაბარებულად ითვლება ბანკის მიერ მისი მიღების დადასტურების დღეს. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის ბანკის კანცელარიის მისამართია ბანკის იურიდიული მისამართი ან ბანკის სერვისცენტრების მისამართი.
3. თუ მომხმარებელი იყენებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას, ის ვალდებულია ასეთი უარის გაცხადებიდან/გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში ბანკს სრულად დაუბრუნოს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული კრედიტის თანხა - ნარჩენი ძირი, თანხის დაბრუნებამდე სარგებლობის პერიოდის განმავლობაში დარიცხულ და გადაუხდელ პროცენტთან ერთად და ადმინისტრაციული ორგანოს მომსახურებისათვის დაწესებული საფასური ან/და სანოტარო ხარჯი (ასეთების არსებობის შემთხვევაში).
4. მომხმარებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ხელშეკრულება შეწყვეტილად ითვლება მხოლოდ წინამდებარე მუხლის მე-2-მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების სრულად შესრულების შემდეგ.
5. წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ამ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში უქმდება ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება/ები,

რომელიც დაიდო ბანკთან ან მესამე მხარესთან ბანკსა და მესამე მხარეს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

6. კლიენტი ბანკს ანიჭებს გამოუთხოვად თანხმობას ბანკმა, ხელშეკრულებაზე უარის გაცხადების შესახებ განცხადების მიღების დღიდან, უაქცეპტო წესით ჩამოწეროს კლიენტის ნებისმიერ ანგარიშზე არსებული ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული თანხები. ამასთან, თუ ხელშეკრულებაზე უარის თქმის გაცხადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში უაქცეპტო წესით ჩამოჭრილი თანხის ოდენობა არ იქნება საკმარისი ბანკის მოთხოვნის სრულად დასაფარად ან/და ბანკი ვერ ჩამოჭრის თანხას, მისი არ არსებობის გამო ან/და კლიენტი ბანკს ამავე ვადაში ნებაყოფლობით არ აუნაზღაურებს სრულ/სხვაობის თანხას, წინამდებარე ხელშეკრულება ითვლება შეწყვეტილად და ჩამოჭრილ თანხას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ბანკი მიმართავს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების, , მათ შორის დარიცხული სარგებლის,პირგასამტეხლოს ან/და ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა თანხების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დასაფარად. შენიშვნა: ამ პუნქტის მიზნებისათვის დავალიანება მოიცავს კრედიტის ნარჩენ ძირ თანხას, მასზე დარიცხულ პროცენტს, პირგასამტეხლოს და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
7. იმ შემთხვევაში, თუ არ ხდება წინამდებარე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად დავალიანების სრული დაფარვა, ბანკის მიერ გატარებული იქნება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები, მათ შორის: ბანკი მოითხოვს ანგარიშების დაყადაღებას, კრედიტის დაფარვის მიზნით მომხმარებლის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების დაყადაღებას, რეალიზაციას, მიმართავს სასამართლოს/არბიტრაჟს/სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროს.

[მოცემული ცვლილება/დამატება ძალაშია 2024 წლის 01 ივლისიდან გასაფორმებელ ხელშეკრულებებზე]